ხელშეკრულება № 02-03/15
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 5 თებერვალი 2021 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის ,,ვ“ პუნქტის და მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტარიელი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ავჯიშვილის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი“–ს მიერ 2021 წლის სახელმიწფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აჭარის არ ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამა 070701), წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სხვადასხვა პროდუქტების (CPV კოდები: 15321000; 15981000; 41110000; 15842000; 15860000; 33711430; 15332300; 15331466; 15820000;) (შემგომში – „საქონელი“) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 409,89 (ოთხას ცხრა ლარი და 89 თეთრი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“–ს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ამირან გაგუა.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის საფასურის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისთვის) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,02% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“	შპს“ტარიელი“
მის. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. #46ა	მის. ქ. ბათუმი, ინასარიძის ქუჩა #14ა
	ს.ს. საქართველოს ბანკი
ს/კ 445399391	ბანკის კოდი BAGAGE22
	ა/ა №GE22BG0000000204829300
	ს/კ 245442454
დირექტორი	დირექტორი
გოჩა ბერიძე	ტარიელ ავჯიშვილი

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	CPV კოდი 15321000 - ხილის წვენები	წვენი შტომი -1000 მლ*12ც/ყ	ცალი	2	4.50	9.00
2		წვენი მანგო -1000 მლ*12ც/ყ	ცალი	1	4.50	4.50
3		წვენი ატამი - 1000 მლ*12ც/ყ	ცალი	2	4.50	9.00
4		წვენი 1 ლ გარგარი (სანტალი) – 24ც/ყ	ცალი	2	4.50	9.00
5		წვენი ტროპიკული - 1000 მლ*12ც/ყ	ცალი	1	4.50	4.50
6		წვენი ბალი - 1000 მლ *12ც/ყ	ცალი	2	4.50	9.00
7	CPV კოდი 15981000 - მინერალური წყლები	ბორჯომი 0,5ლ შუშა	ცალი	12	1.30	15.60
8		ბორჯომი 0,33ლ შუშა	ცალი	12	1.00	12.00
9	CPV კოდი 41110000 - სასმელი წყალი	წყალი „ბაკურიანი“500მლ	ცალი	36	0.60	21.60
10	CPV კოდი 15842000 - შოკოლადი და ტკბილეული	ვაფლი დაფასოებული „როშენ ვაფერს ჩოკო“ 216 გრ	ცალი	1	3.00	3.00
11		ვაფლი დაფასოებული „როშენ ვაფერს“ თხილი 216 გრ	ცალი	1	3.00	3.00
12		შაქარი (წონა)	კგ	2.3580	2.20	5.19
13		რახათ ლუხუმი ნიგვზით	კგ	0.4020	11.90	4.78
14		ჩოკო პიე 360 გრ	ცალი	1	8.80	8.80
15		ბამბ „ბარამბო“ ემოცია ფორთოხლით 215 გრ.	ცალი	1	5.95	5.95
16		რახათ ლუხუმი ფირიზი სპეც შეფუთვით სასაჩუქრე,თხილითა და ქოქოსით 500 გრ	ცალი	1	9.40	9.40
17		6,172 ორეო ორცხ.კაკაო და ვანილით 95გრ	ცალი	4	2.15	8.60
18		გოზინაყი მზესუმზირის 5 კგ	კგ	0.1500	6.95	1.04
19		არაქისი შაქრით ტკბილი ქვეყანა	კგ	0.4320	9.10	3.93
20		რახათ-ლუხუმი მიწის თხილით	კგ	0.3720	8.75	3.26
21		შავი შოკოლადის ასორტი „საღმოს შოკოლადი“	ცალი	1	11.30	11.30
22		შოკ ნაკრები „როშენ ასორტიმენტ კლასიკი“ 154 გრ.	ცალი	1	8.20	8.20
23		შოკოლადის ნაკრები roshen Compliment 145 გრ/8	ცალი	1	8.20	8.20
24		ხალვა როტ ფრონტ	კგ	0.2000	25.00	5.00
25		შოკოლადი მიშკა კოსოლაპი	კგ	0.4280	40.00	17.12
26		შოკოლადი ლასტოჩკა	კგ	0.5600	16.65	9.32
27		სნიკერსი მინის (წონის)	კგ	0.9040	24.75	22.37
28		ფილა ნესტლე შოკოლ.თხილით 21x90გ	ცალი	1	2.50	2.50
29		ფილა ნესტლე რძ.შოკ.ნუშ&ქიშმ.21x90გ	ცალი	1	2.50	2.50
30		ფილა როსია შავი შოკოლადი 90 გრ	ცალი	1	2.60	2.60
31		შოკოლადი გლაზური	კგ	0.5060	39.00	19.73
32		ნესტლე რძ&თეთრ.შოკ.ქოქოსით 17x90გრ	ცალი	2	2.50	5.00
33		ფილა ნესტლე მწარე შოკ. 70% 22x90გ	ცალი	1	2.50	2.50
34		ფილა ნესტლე შავი შოკოლადი 22X90 გ	ცალი	1	2.50	2.50
35	CPV კოდი 15860000 - ყავა,ჩაი და	შავი ჩაი გოლდენ ცეილონ 2გრ*25	ცალი	2	5.70	11.40
36		ყავა სუმბათა (ახალი შეფუთვა)	ცალი	17	1.80	30.60

37	მონათესავე პროდუქტები	მაკ-კოფე-სტრონგი (უკრ.100ც.ყ.1000ც)	ცალი	50	0.50	25.00
38		მწვანე ჩაი ფლაინგ დრაი 2გრ*25	ცალი	1	5.70	5.70
39		ყავა (სუმბათა)	ცალი	8	1.85	14.40
40		ნესკაფე გოლდი 6X190გ	ცალი	1	20.10	20.10
41	CPV კოდი 33711430 - ერთჯერადი ხელსახოცები	ერთჯ პირსახოცი „სელპაკი“	ცალი	1	1.85	1.85
42	CPV კოდი 15332300 - გადამუშავებული თხილეული	მიწისთხილი მარილიანი 185გრ	ცალი	1	5.00	5.00
43		თხილი კლასიკი თადიმი 75 გრ	ცალი	2	4.10	8.20
44		გემო მიწის თხილი მარილიანი მოხალული 80გრ 48ც	ცალი	2	1.65	3.30
45		ქართული 25X30 (თხილი)	ცალი	3	0.95	2.85
46	CPV კოდი 15331466 - გადამუშავებული ზეთისხილი	„ბონდუელი“ ზეთისხ.უკურკო 314 მლ	ცალი	2	2.90	5.80
47	CPV კოდი 15820000 - ორცხობილები და ხრაშუნა ნამცხვრები;დაკონსერვებული საკონდიტრო ნაწარმი და ნამცხვრები	კრეკერი „GROCO” 400 გრ	ცალი	1	5.70	5.70
	საერთო ჯამი					**409.89**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“
დირექტორი
გოჩა ბერიძე

შპს“ტარიელი“
დირექტორი
ტარიელ ავჯიშვილი